გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს,** თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. **ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად 5 წლის ვადით** შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების“ მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

3. კონკურსი ცხადდება **თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის** თანამდებობის დასაკავებლად.

4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1. ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში;

ბ) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

გ) *უფროსი მეცნიერი თანამშრომელი* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), გამოქვეყნებული ან

გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - 30 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

ბ) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - 20 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

გ) *უფროსი მეცნიერი თანამშრომელი* - 15 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 3 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

4.3. უნდა ჰქონდეს ან სამეცნიერო კადრების მომზადების გამოცდილება, ან სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობის გამოცდილება, ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილება.

5. გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი);

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების სია;

ვ) ან სამეცნიერო კადრების მომზადების, ან სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობის, ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

6. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 26 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2025 წლის 9 ივლისიდან 2025 წლის 11 ივლისის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი, № 2, II სართული, ოთახი № 7. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც ასახული იქნება არჩევის შედეგები, ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცდეს და გაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის არაუგვიანეს 2025 წლის 25 ივლისისა.